პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 115 (3092) | 16 | 1966 წ. ივნისი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

როგორც ცნობილია, ამას წინათ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისთვის დაჯილდოვდა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკთა დიდი ჯგუფი. დაჯილდოებულთა შორის არიან ფიზიკური კულტურის მუშაკები, სპორტსმენები...

დაჯილდოებულთა ერთ ნაწილს 10 ივნისს ჯილდოები გადაეცა.

ს უ რ ა თ ზ ე: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანს, სპორტის ოსტატ შ. იამანიძეს გადასცემს მედალს „შრომითი მამაცობისთვის".

ფოტო კ. შანიძისა.

მეტრეველმა და საბომ...

ნ ე ს ტ ვ ე დ ე (დანია). 15 ივნისი. დანიის სხვადასხვა კლუბის ნაკრებთან აქ ბოლო მატჩი გამართა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ეროვნულმა გუნდმა. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 2:1. ბურთები გაიტანეს: მე-9 წუთზე მეტრეველმა და მე-80 წუთზე — საბომ.

საბჭოთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: იაშინი, გეტმანოვი, შესტერნიოვი, ხურცილავა, დანილოვი, ვორონინი (საბო), სიჭინავა, მეტრეველი, ბანიშევსკი, მალოფეევი, ჰუსაინოვი.

სპორტული მიმომხილველები საბჭოთა გუნდში განსაკუთრებით გამოჰყოფენ ვორონინს, მეტრეველსა და დანილოვს. „დანიელი მეკარის პიტერის ბრწყინვალე თამაში რომ არა, ანგარიში ბევრად დიდი იქნებოდაო", — წერენ ადგილობრივი გაზეთები.

მსოფლიო ჩემპიონატამდე

- სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების მეორე მატჩი დანიაში
- იტალიელთა ბრწყინვალე გამარჯვება
- ურუგვაისა და მექსიკის გუნდების შედეგ...
- გამოსცადეს 22 მოთამაშე
- მწვრთნელი არ გაწბილდა

მე-4 გვ.

ახალი ბაზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუგდიდის რაიონის სოფ. დარჩელის გაზეთ „კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა შემოქმედის, ვარკეთილისა და ვაზისუბნის მშრომელთა პატრიოტულმა თაოსნობამ საკუთარი ძალებით სპორტული ბაზების შექმნის თაობაზე.

კოლმეურნეობის გამგეობის ინიციატივით (თავმჯდომარე შ. ქადარია) მოეწყო სპორტული ბაზების კომპლექსი, რომელიც მოიცავს ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნებს, მძლეოსნურ სექტორებს. ახალგაზრდობა დიდი მონდომებით ეწაფება სპორტს.

გ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდის რაიონი.

გუშინ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ხელბურთში. ადგილობრივმა „ბურევესტნიკმა" მიიღო ბულგარეთის ვაჟთა ნაკრები და დაამარცხა იგი — 25:14 (11:9).

საათი!

◆ **ტოლიდო** (აშშ), 15 ივნისი. ხვალ აქ იწყება მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. ხალიჩაზე გამოვლენ სსრ კავშირის, ბულგარეთის, თურქეთის, იაპონიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ირანისა და სხვა ქვეყნების საუკეთესო ათლეტები. ამ სახეობაში მსოფლიოს ჩემპიონთა გამოვლენის შემდეგ, ზუსტად ერთი კვირის მერე ასპარეზობას დაიწყებენ „კლასიკოსები".

ახლახანს მოსკოვში დამთავრდა მოფარიკავეთა საკავშირო ჩემპიონატი. დაშნით მებრძოლთა გუნდურ ასპარეზობაში გაიმარჯვეს დინამოელებმა. II ადგილზე არიან საბჭოთა არმიის წარმომადგენლები, ხოლო III — „სპარტაკის" მოფარიკავეები.

ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირის ჩემპიონი — „დინამოს" გუნდი. მარცხნიდან — ა. ჩერნუშევიჩი, ი. სმოლიაკოვი, ა. ნიკანჩიკოვი, გ. ზაჟიცკი, ი. ვიტებსკი.

ფოტო ვ. უნ და-სინისა (საკდეს).

დებიუტანტის წარმატება

ლ ა ჰ ტ ი, 14 ივნისი. ევროპის მესტენდურეთა ჩემპიონატში გათამაშებული ოქროს ბოლო მედალი საბჭოთა სპორტსმენებს თუმცა არ შეხვდათ, მაგრამ მათ მიაქვთ აქედან ოქროს ყველაზე „დიდი მოსავალი": 5 მედალი 7-დან (3 მოპოვებულია მრგვალ სტენდზე ასპარეზობისას, 2 — ადგილიდან სროლისას). საბჭოთა მესტენდურე ვაჟები ხელმოცარული დარჩნენ მხოლოდ ადგილიდან სროლაში, სადაც გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს იტალიელებმა, ხოლო პირადში — ფრანგმა მ. პრევომ (289 ქულა 300-დან). ვერცხლის მედალი ერგო იტალიელ ს. ბასაჯინის — 287 ქულა.

ამ დასკვნით სახეობაში საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა წევრი — ტაშკენტელი მოსწავლე ს. ალიპოვი (წინდღით იგი ევროპის იუნიორთა ჩემპიონი გახდა). დიდების შეჯიბრებაში მას შეეძლო „ბრინჯაოს" მოხვეჭა, ვინაიდან შვედიელ ს. კარლსონთან და რუმინელ ი. დუმიტრესკუსთან ერთად „მიჟიდა" ფინიშზე: მესამე შედეგი — 286 ქულა აჩვენა. მაგრამ დამატებით სერიაში ასეთი დიდი ტურნირის დებიუტანტმა „დაუთმო" მასზე გაცილებით გამოცდილ მეტოქეებს. ბრინჯაოს მედალი მოიგო კარლსონმა. IV ადგილზეა დუმიტრესკუ, V — ალიპოვი.

▲ კ ა ზ ე რ ტ ა. იტალიის ამ ქალაქის სახელობის ჯილდოზე გამართული კალათბურთელ ვაჟთა VI საერთაშორისო ტურნირი მოიგო ვარესეს (იტალია) „ინისმა", რომელმაც გადამწყვეტ მატჩში სძლია პრაღის „სპარტაკს" — 68:61 (34:27). III ადგილზეა „პანთენოპე" (ნეაპოლი), IV — „ჩერვენო ზნამია" (სოფია).

▲ **სოპოტი.** პოლონეთის მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა ვ. კომარმა (იგი 100 კილოგრამს იწონის). ბირთვის კვრაში მისი შედეგი — 19,61 მ — მხოლოდ 1 სანტიმეტრით ჩამოუვარდება ევროპის რეკორდს.

აღემატება რეკორდს —

როგორც ვიუწყებოდით, გასულ კვირას სვერდლოვსკში მოეწყო ჟურნალ „სპორტივნაია ჟიზნ როსიის" პრიზის IX გათამაშება 30 კილომეტრზე სპორტულ სიარულში. ასპარეზობის ტრასა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში გადიოდა და მრავალრიცხოვანი მაყურებელი მიიზიდა. ტ უ რ ნ ი რ შ ი რსფსრ-ს 9 გუნდის გარდა მონაწილეობდნენ მოსკოვის, საქართველოს, ყირგიზეთისა და სხვა რესპუბლიკების საუკეთესო მძლეოსნები, სულ 100-ზე მეტი ათლეტი.

შესანიშნავად იასპარეზეს საქართველოს სპორტსმენებმა ა. შჩერბინამ და ი. დელა-როსამ. შჩერბინამ დაიკავა IV ადგილი (2:17.21,4), ხოლო დელა-როსამ — VI (2:18.31,0). ორივე შედეგი ბევრად აღემატება 30 კილომეტრზე სპორტულ სიარულში საქართველოს რეკორდს — 2:21.25,0, რომელიც შჩერბინამ დაამყარა 1963 წელს თბილისში.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს სპორტსმენები IV ადგილზე გავიდნენ. ისინი ჩამორჩნენ მხოლოდ რსფსრ-ს I, მოსკოვისა და რსფსრ-ს II გუნდებს.

ს უ რ ა თ ზ ე: ა. შჩერბინა (წინ) და ი. დელა-როსა.

ფოტო გ. პეტროვისა.

მშვიდობიანი ტური

სოხუმი, 15 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს გაიმართა იუგოსლავიისა და სსრ კავშირის მოჭადრაკეთა მატჩის IV ტური, რომელიც ერთობ მშვიდობიანი გამოდგა. ყაიმით დამთავრდა მატანოვიჩ — კორჩნოის, პარმა — გელერის, კერეს — მატულოვიჩის, ლუტიკოვ — ივკოვისა და იოვანოვიჩ — გაფრინდაშვილის პარტიები.

ზატულოვსკაიამ მოუგო იოკიჩ-ქიჯკოვიჩს.

4 პარტია გადაიდო.

4 ტურის შემდეგ ანგარიშია 21,5:10,5 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ. ხვალ გაიმართება გადადებული პარტიების დამთავრება.

ორივეჯერ ბოლო წუთზე

ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 15 ივნისი.

„დინამო" (ბათუმი) — „სპარტაკი" (ნალჩიკი) 0:2 (0:1).

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ": კვახაძე, კობიაშვილი, ჯოხაძე, ონიანი, კიზირია, დიმანოვი, ვერულიძე, ილურიძე, კონიაშვილი (აბაიშვილი), გიორგაძე, ქიქავა.

„ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ": ალდიშევი, ლიტვინოვი, გოგიბედაშვილი, ნიკოლაენკო, კრივოშეევი, ბატალინი, ილინი, ეშტრეკოვი, ტკაჩენკო, შაპოვალოვი, ივანოვსკი.

მსაჯი ვ. ივაშკოვი (მოსკოვი).

სტუმრებმა ენერგიულად შეუტიეს მასპინძლებს და სულ მალე მოედნის ცენტრის დათმობა აიძულეს. განსაკუთრებით აქტიურობდა ეშტრეკოვი. 45-ე წუთზე სწორედ მან შეძლო ანგარიშის გახსნა — 25 მეტრიდან ბურთი ზუსტად გაგზავნა ბათუმელთა კარში.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა მკვეთრად შეცვალეს თამაშის ტაქტიკა. ისინი გამუდმებით უტევდნენ მეტოქის კარს, მაგრამ დარტყმები ან უზუსტო იყო, ან ბურთი ჩინებულად მოთამაშე ალდიშევის „საკუთრება" ხდებოდა.

მატჩის ბოლო წუთებზე დინამოელები თითქმის მთელი გუნდით დასახლდნენ სპარტაკელთა საჯარიმო მოედანზე და... უყურადღებოდ დატოვებული ეშტრეკოვი პირისპირ გავიდა კვასხვაძესთან და ანგარიში გაზარდა. ეს მოხდა 90-ე წუთზე.

ვ. მოსეშვილი.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

◆

„ბ" კლასი II ჯგუფი

თბილისელები იგებდნენ...

კ რ ა ს ნ ო დ ა რ ი, 15 ივნისი (ტელეფონით). ადგილობრივი „ყუბანისა" და თბილისის „ლოკომოტივის" შეხვედრამ დღეს აქ დიდი ინტერესი გამოიწვია. სტუმრები იგებდნენ 89-ე წუთამდე, მაგრამ ბოლო წუთზე მასპინძლებმა გაქვითეს ანგარიში და მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

რაც „დილის“ წინსვლას აფერხებს

დილმის მასივში 6 წელია საბინაო მშენებლობა დაიწყო. ამ ხნის მანძილზე უკვე ასშვიდ კორპუსი, რომლებშიც ამჟამად 16 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. მასივის გენერალური გეგმის შემდგენლებს არც მცხოვრებთა მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობისთვის საჭირო ბაზების დაგეგმვა გამორჩენიათ მხედველობიდან. უნდა აგებულიყო სპორტდარბაზი და აუზი, უნდა მოეწყოთ ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, ფეხბურთის მინდორი და სხვ. მაგრამ მშენებელ ორგანიზაციებს რატომღაც „დააივიწყდათ“ გენერალური გეგმის ეს პუნქტი. მათ ყურად არ იღეს არაერთგზის შეხსენებაც.

მაშინ მასიველები იმ დასკვნამდე მივედით, რომ რაიონის ხელმძღვანელი ორგანიზაციებისა და ხალხის დახმარებით თავად გვეზრუნა ჩვენი ჯანმრთელობის გაკაუებისთვის, საკუთარი ძალებით დაგვეწყო მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობა.

ეს თაოსნობა უველას მოეწონა. სხრ კავშირში პირველად სწორედ ჩვენთან შეიქმნა ჯანმრთელობისა და დასვენების სახალხო კლუბი „დილა“. გავაჩაღეთ მუშაობა: მასივში გაჩნდა ფრენბურთის, კალათბურთისა და ხელბურთის მოედნები. ფეხბურთის მინდვრები, შეიქმნა სექციები, ფიზკულტურელთა ჯგუფები, გუნდები; გაიმართა ტურნირები, მონაწილეობა მივიღეთ ჯანმრთელობის საქალაქო სპარტაკიადაში და ყველაფერი ეს ხდებოდა საზოგადოებრივ საწყისებზე, ხალხის ნება-სურვილით.

მაგრამ მშენებლებმა მხარდაჭერის მაგივრ... წაგვართვეს კალათბურთისა და ფრენბურთის თითო მოედანი და ფეხბურთის მინდორი. როგორც მშენებლები გვპირდებიან, ამ მოედნების ბედს, ალბათ, სხვა ბაზებიც გაიზიარებენ. სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელები კი გვაიმედებენ:

— კორპუსებთან მოედნები დაგეგმილი არ იყო და გული ნუ დაგწყდებათ. სამაგიეროდ, მასივის განაპირას ვაგებთ ცენტრალურ სპორტულ ბაზას და რამდენიც გნებავთ ირბინეთ და იხტუნეთო.

გვპირდებიან კი, მაგრამ პირობას როდის შეასრულებენ, ამას აღარ ამბობენ. ეგეც არ იყოს, თუნდაც ხვალვე რომ ააგონ ის ბაზა, განა მასივში მცხოვრებ ყველა სპორტის მოყვარულს დაიტევს? ან ყველა შეძლებს იქ საგანგებოდ, სავარჯიშოდ სიარულს, — მით უმეტეს, ბავშვები და ხანშიშესულნი. გვიმტკიცებენ, საცხოვრებელ კორპუსებთან სპორტული მოედნები იმიტომ გავაუქმეთ, რომ მოასპარეზეთა, განსაკუთრებით, ბავშვების ხმაური ხალხს აწუხებდაო. ვითომ?

ჩემი აზრით, უმოედნობა ბავშვებს უარეს სამსახურს გაუწევს. თუ სარბიელი არ ექნებათ, ისინი ქუჩაში, გაზონებზე და ხეივნებში ითამაშებენ, ირბენენ... ღრ კი სახიფათოა.

გულგრილობამ ხალხის ხელით მოწყობილი მოედნების მოვლა-პატრონობაშიც იჩინა თავი. ზოგიერთი მასიველი აბუჩად იგდებს ჩვენს შრომას, მოედნები სანაგვედ აქციეს, ძალით სპობენ სპორტინვენტარს, მოიპარეს ძელები... 35-ე სკოლის დირექციამ კარგი თაოსნობა გამოიჩინა, ამ მოედნებზე სისუფთავის დაცვა მოსწავლეებს დააავალა, მაგრამ როდემდე უნდა ზიდონ პატარებმა ზარმაცი დეიდებისა თუ ბიძების დაყრილი ნაგავი?

როცა ჯანმრთელობისა და დასვენების სახალხო კლუბი იქმნებოდა, სახლმმართველობები დიდ დახმარებას გვპირდებოდნენ, მაგრამ დღემდე ერთი ოთახიც ვერ გამოგვიყვეს, სადაც აქტივის შეკრებასა და ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობას შევძლებდით.

ყოველივე ამის მიუხედავად, დილმის მასივში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობა მაინც დამაკმაყოფილებელ დონეზეა, მაგრამ შეიძლება უფრო მეტი გაკეთდეს. ჩვენი სპორტსმენები უფრო დიდ სარბიელზე უნდა გავიდნენ. კარგი იქნება ჩვენც გვყავდეს ინსტრუქტორი, რომელიც ფიზკულტურულ მუშაობას უხელმძღვანელებდა. ვფიქრობ, დროა მასივებშიც საამისოდ თუნდაც ერთი საშტატო ერთეული შეიქმნას. ხელმძღვანელს ჩვენც, საზოგადოებრივი მუშაკები, დავეხმარებოდით და ალბათ, „დილას“ მეტი წარმატება ექნებოდა.

ი. ჯიზირია,
„დილის“ გამგეობის თავმჯდომარე,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

4 რეკორდის მფლობელი

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველკურსელმა ი. ცანავამ საკმაოდ ძნელი სახეობა — საშუალო და გრძელ მანძილებზე რბენა აირჩია და მწვრთნელ ვ. ნედაშკოვსკის მეცადინეობით მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია. ამ ნიჭიერმა ახალგაზრდამ წლეულს ზედიზედ დაამყარა უფროსი ასაკის ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდები 800 და 1000 მეტრზე რბენაში, მაგრამ მიღწეულით არ დაკმაყოფილდა. საგაზაფხულო სესიების მიუხედავად, იგი საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადაშიც მონაწილეობდა კონკურსგარეშე. ამჯერად ცანავამ „შეუტია“ რეკორდებს 1500 და 3000-მეტრიან მანძილებზე და ორივეჯერ წარმატებით: 1500 მეტრზე აჩვენა 4.05.7, 3000 მეტრზე კი — 9.11,6. ახლა ი. ცანავა ჭაბუკთა 4 რესპუბლიკური რეკორდის მფლობელია.

• • •

სურათზე: ი. ცანავა ფინიშთან.

ფოტო ო. გელაშვილისა.

რაიონული სკოლიდან

წითელწყაროს

რაიონულ პირველობაში 30-მდე ძალოსანმა მიიღო მონაწილეობა. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს ვ. ჯანაშვილმა, ვ. მოსულიშვილმა (ორივენი — ზემო მაჩხაანი), გ. ლიქოკელმა (არხილოსკალო), ფ. ბოსტოღანაშვილმა (წითელწყარო), ტ. გობეჯიშვილმა (ზემო მაჩხაანი), გ. დურიშვილმა (ქვემო ქედი), ნ. ბექაურმა (ზემო ქედი). გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს ზემო მაჩხაანის წარმომადგენლებმა. II ადგილზე არიან არხილოსკალელები, ხოლო III — ქვემო ქედის ძალოსნები.

გ. ყოჩიაშვილი,
სპორტკავშირის რაიონბჭოს თავმჯდომარე.

ლაგოდეხი

გაიმართა პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ტრადიციული სპარტაკიადა. საერთო გუნდური პირველობა მოიპოვეს ვარდისუბნის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. II ადგილზე გავიდნენ ნინიგორის საშუალო სკოლის ნორჩები, ხოლო III — ლაგოდეხის სკოლა-ინტერნატის წარმომადგენლები.

გ. შარმიაშვილი.

უმაღლეს შედეგებით

დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კლუბში გაიმართა რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების პირადგუნდური პირველობა ძალოსნობაში.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: თ. დიაკონიშვილი (თელავი), ო. დოგუზოვი (ცხინვალი), ს. ერისთავი (ამბროლაური), ვ. პირქუშაშვილი (წულუკიძე), ო. თინიკაშვილი (მარტყოფი), ი. ელოშვილი (თელავი), შ. აბრამია (კულაში), გ. ყუფარაძე (წულუკიძე).

გუნდური პირველობა თელაველებმა მოიგეს. II ადგილზე არიან ცხინვალელები, ხოლო III — წულუკიძელები.

უნდა ითქვას, რომ შეჯიბრება ძალზე დაბალი შედეგებით აღინიშნა: ფიცარნაგზე ნაჩვენები იქნა III თანრიგის მხოლოდ 7 შედეგი. დანარჩენი მაჩვენებლები ჯარისი იყო.

ჯ. ბაშაკიძე.

სამტრედიის რაიონი.



არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც აკადემიკოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს ახალი, სამსართულიანი შენობა გადაეცა. ძველ შეინობაში ინსტიტუტს მხოლოდ რამდენიმე ოთახი ეჭირა და სპორტისადმი თანამშრომელთა უმეტესობის დიდ სიყვარულს სივიწროვე სათავეშიეე ახშობდა.

ახლა ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა გატაცებას გასაქანი მიეცა — ჩამოყალიბდა ფიზკულტურის კოლექტივის საბჭო, ჭადრაკის (ხელმძღვანელი — ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ბ. გიგინეიშვილი), ბადმინტონისა (ხელმძღვანელი — ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილების მეცნიერ-მუშაკი ე. გოუნაშვილი) და მაგიდის ჩოგბურთის (ხელმძღვანელი ლ. ქაჯაია) სექციები. ამ სექციებში 40-მდე თანამშრომელია გაერთიანებული. მოაწყეს სპორტული ოთახი და ბადმინტონის მოედანი.

ბადმინტონში ინსტიტუტის ჩემპიონობა მოიპოვა ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილების მეცნიერ-მუშაკმა ზ. ალექსიძემ, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო. II ადგილი დაიკავა ბ. გიგინეიშვილმა, III — საამკინძაო ლაბორატორიის მკინძავმა გ. ჩიფჩიურმა. ამჟამად წრიული სისტემით ტარდება შეჯიბრება ჭადრაკში.

ფიზკულტურული საბჭოს თავმჯდომარეს ზ. ალექსიძეს ეთხოვეთ რამდენიმე სიტყვა ეთქვა ინსტიტუტის სპორტის მოყვარულთა სამეგობრო გეგმებზე.

— ვფიქრობთ, ახლო მომავალში მოვაწყოთ კომბინირებული მოედანი ხელბურთის, ფრენბურთისა და ჩოგბურთისთვის, — გვიპასუხა მან. — ჩვენს მიზანს რეკორდების დამყარება როდი შეადგენს. არც რაიმე განსაკუთრებული მიღწევისთვის ვიბრძვით. გვინდა რაც შეიძლება თვითონ გავშალოთ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა ინსტიტუტის თანამშრომელთა შორის.

დასაწყისი კარგია. ვნახოთ, რას გვიჩვენებს მომავალი.

ლ. მუსხელაძე.

კარგი დასაწყისი

პოლონური ჟურნალის ფურცლებზე

მთელს ევროპაში პოპულარული სპორტული ჟურნალი „სპორტოვეცი“ (პოლონეთი) ხშირად ბეჭდავს ქართული სპორტის ამსახველ ფოტოსურათებსა და მასალებს. აი, ამჯერადაც მან გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელზეც აღბეჭდილია 78 წლის გალელი მხედარი ჭიჭიკო ზუბაია.

• • •

სურათზე: რეპროდუქცია ჟურნალ „სპორტოვეცი“-დან.

ᲮᲔᲚᲘᲮᲔᲚᲩᲐᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ

ამ სამი წლის წინათ ვანის რაიონის სოფელ ისრითის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა სპორტული ბაზების განახლება განიზრახეს. ჩანაფიქრი ჯერ ფიზაღზრდის მასწავლებლებს ჯ. იორამაშვილსა და ნ. მაღლაკელიძეს გაუზიარეს, მერე სკოლის დირექტორს გ. საღრიშვილსაც გაუმხილეს. დასტური და მხარდაჭერა რომ მიიღეს, საქმეს შეუდგნენ.

თავისუფალ დროს წერაქვებითა და ბარებით შეიარაღებული ბავშვები თავს დასტრიალებდნენ სამშაოს. მიწა მოასწორეს, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, ტანვარჯიშული ბაქანი მოაწყეს, სიგრძეზე და სიმაღლეზე სახტომი ორმოები გაასუფთავეს და მერე სილით აავსეს. სპორტული კომბინატის გახსნის დღეს ელვისებური ტურნირები ჩაატარეს ფრენბურთში, ხელბურთში, კალათბურთში, მძღოსნობაში.

კეთილმოწყობილმა ბაზებმა კიდევ უფრო საინტერესო გახადა ნორჩ სპორტსმენთა საქმიანობა. ახლა სკოლის სპორტულ სექციებში 125 მოსწავლეა გაერთიანებული. ცხადია, ფიზკულტურის მასწავლებლებს ყველა სექციის გაძღოლა გაუჭირდებოდათ, მაგრამ აქაც მოსწავლეებმა იმარჯვეს—მეათეკლასელები ვ. დვალიშვილი, მ. მამასახლისი, ტ. მაღლაკელიძე, მეთერთმეტეკლასელები მ. იორამაშვილი, თ. იორამაშვილი, მეშვიდეკლასელი ე. კაპანაძე მასწავლებლებს მხარში ამოუდგნენ. ამ მოსწავლეებმა საზოგადოებრივი მწვრთნელების შესანიშნავი თვისებები გამოავლინეს. მეცადინეობის გეგმას ისინი მასწავლებლების დახმარებით ადგენენ და კალათბურთელების, მძღოსნების, ხელბურთელების, ფრენბურთელების და ფეხბურთელების ვარჯიშს უნარიანად ხელმძღვანელობენ. მოსწავლეთა მონდომებამ და სკოლის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს (თავმჯდომარე ვ. დვალიშვილი) მუყაითობამ აამაღლა სკოლაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის დონე. ფიზკულტურულ მუშაობაში ჩაება თითქმის ყველა მოსწავლე. შეიქმნა გუნდები ცალკეულ კლასებში, რეგულარულად იმართება სასკოლო პირველობები, გაჩნდა ფოტოსტენდი, რეკორდების ცხრილები, სპორტული კედლის გაზეთი. მოსწავლეთა წამოწყებამ, პირველმა შედეგებმა მასწავლებლებიც დაინტერესა.

მოსწავლეთა ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობაში განსაკუთრებით აქტიურად მონაწილეობს ისტორიის მასწავლებელი გიგლა მაღლაკელიძე, რომელიც ფეხბურთისა და ფრენბურთის ქომაგი გახდა. მათემატიკის მასწავლებელი გერონტი მაღლაკელიძე კარგი მოჭადრაკეა და ამ სახეობის სექციას ხელმძღვანელობს. გერონტის აღსაზრდელებმა თანატოლთა რაიონულ ტურნირში III ადგილი დაიკავეს. მოჭადრაკეებს არც სხვა სახეობათა წარმომადგენლები ჩამორჩებიან. მაგალითად, ჯერჯერობით ვანის სკოლებთან ჭიდილი უჭირთ, მაგრამ სოფლის სკოლებში ბევრს აჯობებს.

ისრითელები მიღწეულით რიდი კმაყოფილდებიან — განზრახული აქვთ ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე შეაკეთონ არსებული ბაზები და მოაწყონ ტანვარჯიშული კედელი. სპორტსმენები არც სასკოლო ნაკვეთს ივიწყებენ, ბაღი კი მართლაც დიდი და ხანიშნო აქვთ. ფიზკულტურელები გულშოდგინედ უვლიან დაფუას, ხილს, ბოსტანს და შრომაც დაუფასდათ: მარშან სახელმწიფოს 150 მანეთის დაფნა და 120 მანეთის ხილი მიჰყიდეს, აღებული ფულიც კი სპორტინვენტარი შეიძინეს.

მაგრამ ნუ იფიქრებთ, თითქოს ისრითელ ფიზკულტურელებს საზრუნავი აღარაფერი ჰქონდეთ. არა, აქვთ და საკმარისზე მეტიც. სკოლასთან ფეხბურთის მინდვრის მოწყობა არ ხერხდება. ადრე ეს არც იყო საჭირო, ვინაიდან იქვე დიხაშხოს კოლმეურნეობის შესანიშნავი მინდორია, რომელიც სოფლის სკოლასაც ემსახურებოდა, მაგრამ...

კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე ბ. ჭიმუცაძე) და სასოფლო საბჭომ (თავმჯდომარე რ. ბაღდავაძე) ყურად არ იღეს ახალგაზრდების თხოვნა, მინდორი არ ნებეობს. და აი, ეს ადგილი პირუტყვის საბალახოდ იქცა.

ეს რომ არა, დიხაშხოს სასოფლო საბჭოს საამაყოდ მარტო ისრითის სკოლის ფიზკულტურელთა წარმატებებიც ეყოფოდა.

ო. გელაშვილი.

ვანის რაიონი. (ჩვენი სპეც. კორ.).

„ბ“ ჯგუფი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (ქისლოვოდსკი)	9	6	3	0	11—3	15
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	12	6	3	3	19—11	15
„კოლხიდა“ (ფოთი)	10	6	2	2	12—4	14
„ცემენტი“ (ნოვოროსიისკი)	10	6	2	2	11—6	14
„მეშახტე“ (ტყიბული)	11	5	3	3	20—7	13
„ლოკომოტივი“ (კიროვაკანი)	11	4	5	2	8—7	13
„დინამო“ (სოხუმი)	11	4	4	3	13—8	12
„ეროფეი“ (კრიმსკი)	10	6	0	4	15—11	12
„მეტალურგი“ (რუსთავი)	12	3	6	3	14—14	12
„მაშინოსტრო�ტ.“ (პიატიგორ.)	10	4	3	3	21—12	11
„ლენინგორეცი“ (კაფანი)	11	4	3	4	8—8	11
„ენგური“ (ზუგდიდი)	11	4	2	5	12—13	10
„ალაზანი“ (გურჯაანი)	11	3	3	5	8—9	9
„ხევანი“ (ოქტომბერიანი)	11	2	5	4	10—12	9
„დილა“ (გორი)	11	2	5	4	5—10	9
„ეროფეი“ (მაიკოპი)	10	3	2	5	10—13	8
„არაქსი“ (ერევანი)	11	2	4	5	5—13	8
„ეროალანი“ (ელისტა)	10	1	5	4	6—16	7
„დინამო“ (მახაჩყალა)	10	2	2	6	7—16	6
„ეროფეი“ (დერბენტი)	10	1	2	7	4—27	4

ცვლილება კალენდარში

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ დაადგინა 14 ივნისს გამოტოვებული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ერევნის „არარატსა“ და კიევის „დინამოს“ შორის ჩატარდეს 26 ივნისს.



ჭაბუკთა ფინალური ტურნირი

თბილისში გრძელდება „ა“ და „ბ“ კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების ტურნირი.

მეტად საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა მატჩი ადგილობრივი „ლოკომოტივისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ გუნდებს შორის. ნორჩმა რკინიგზელებმა შეძლეს გამარჯვების მოპოვება — 2:1.

კარგად ითამაშეს სოხუმის დინამოელებმა, რომლებმაც დაამარცხეს გორის „დილა“ — 2:0.

ყურადღების ცენტრში იყო თბილისის ორი კოლექტივის — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლისა და დინამოელთა მატჩი. ეს იყო თანაბარი ბრძოლა, რომელიც დამთავრდა დინამოელთა დამარცხებით — 0:1.

დღეს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე შედგება ტურნირის მორიგი მატჩები. 9 საათზე ერთმანეთს ხვდებიან „დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი), 17 საათზე თამაშობენ თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა — „დინამო“ (სოხუმი), ხოლო 19 საათზე — „დილა“ (გორი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი).

„ცხინვალი ბურთის“ პრიზზე

გათუმი

აჭარის დედაქალაქში მყარ ტრადიციად იქცა ეზოებისა და ქუჩების ფეხბურთელთა გუნდების საქალაქო გათამაშება, რომელსაც ნორჩები მუდამ დიდი ენთუზიაზმით ეხმაურებიან. ასე იყო ამჯერადაც: ტურნირში მონაწილეობდა 24 გუნდი.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „გაზაფხული“ (ტურგენევის ქუჩა) და „თეთრი ეშმაკუნები“ (კიროვის ქუჩა). გაიმარჯვა „გაზაფხულმა“ (მწვრთნელი ლ. ვერულიძე) — 4:0.

შეჯიბრების მონაწილეთათვის დაწესებული იყო პრიზები, რომლებიც გადაეცათ ს. ტიხონიროვს, რ. ნაცარაშვილს, თ. კალანდაძეს, ა. არევშატიანს, ზ. გაბელაიას, მ. ბაზიაშვილს, თ. კეშელავას, ი. მორჩილაძეს, ბ. შონიას. ყველაზე პატარა და პერსპექტიული მოთამაშის სახელი მოიხვეჭა 11 წლის რ. ბაუიაშვილმა. ნორჩების თამაშებს ემსახურებოდნენ ნორჩი მსაჯები, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ გ. ხალდაძე და მ. ბოლქვაძე.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

გორი

ქალაქის სპორტულმა საზოგადოებრიობამ დიდი ინტერესი გამოიჩინა „ტყავის ბურთის“ პრიზის გათამაშებისადმი, რომელშიც მონაწილეობდა 18 კოლექტივი.

I ადგილი წილად ხვდა რკინიგზის უბნის გუნდს — „ლოკომოტივს“ (მწვრთნელი თ. ჩრდილელი), რომელმაც ფინალში მოუგო „თრიალეთს“ (სტალინის ქუჩა). III ადგილზეა „ტალღა“ (ქუთაისის ქუჩა).

გ. გოზალიშვილი.
(ჩვენი კორ.).

სამტრედია

ეზოებისა და ქუჩების ნორჩ ფეხბურთელთა ზონის ფინალურ გათამაშებაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ აბაშის, ფოთის, ხობის, ცხაკაიას, წალენჯიხის, ზუგდიდის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, წულუკიძისა და სამტრედიის გუნდებს, მაგრამ მოხდა ისე, რომ საასპარეზოდ ჩამოვიდნენ მხოლოდ აბაშის, ფოთისა და ცხაკაიას ფეხბურთელები, რომლებმაც სამტრედიის გუნდთან ერთად გაითამაშეს ზონალური პირველობა.

გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „სეტყვა“ (სამტრედია) და „ფაზისი“ (ფოთი). მატჩი მოიგეს სამტრედიელებმა — 2:1, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ფინალურ გათამაშებაში თბილისში.

საინტერესოა, რატომ გარიდეს შეჯიბრებაში მონაწილეობას თავი ზემოხსენებულმა რაიონებმა?

ჯ. ვაშალომიძე.

საბჭოთა ფეხბურთი

პირველ წუთზე...

„გურია“ (ლანჩხუთი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 1:0 (1:0).

„ბაზრია“: ურუშაძე, ჭყონია, ნებუნაშვილი, წილოსანი, წერეთელი, ჯაგაშვილი, კვირკველია, ჩხარტიშვილი, სარიევი (ჭორბენაძე), ნარიაშვილი, სიხარულიძე.

„შუქურა“. ქობულაძე, გოგმაჩიძე, მატარაია, ახალაძე, კანკია, შონუსი, ჯბილაშვილი, მღებრიშვილი, ლომპასოვი, ურუშაძე, მანელიშვილი.

მსაჯი ე. ჩიფჩიური (თბილისი).

ამ ორი გუნდის შეხვედრები რესპუბლიკის ჩემპიონატის მატჩებში მუდამ დიდ ინტერესს იწვევს მაყურებელთა შორის, ხოლო ახლა, როცა მატჩს საგანგებო მნიშვნელობა ენიჭებოდა გათამაშების ცხრილში, მას ფეხბურთის მოყვარულთა დიდი რაოდენობა დაესწრო.

მოხდა ისე, რომ ამ საპასუხისმგებლო თამაშის ბედი გადაწყვიტა პირველივე წუთმა. ნარიაშვილმა შეძლო მოწინააღმდეგის დაცვის რიგების გარღვევა, კარგად გადასცა ბურთი ჩხარტიშვილს და ანგარიშიც გაიხსნა. დარჩენილ დროში მასპინძლებს ჰქონდათ მეტოქის კარის აღების რამდენიმე ხელსაყრელი შესაძლებლობა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იქნა გამოყენებული.

შესვენების შემდეგ ქობულეთელებმა გარდატეხა შეიტანეს თამაშში. მათ შეეძლოთ გაეტანათ თუნდაც 1 საპასუხო ბურთი, მაგრამ თავდამსხმელები ერთობ უხეიროდ ურტყამდნენ ჯარში. „გურია“ დასასრულს კვლავ შეტევაზე გადავიდა და შეინარჩუნა მეტად საპირო გამარჯვება.

კარგად იმსაჯა ჩიფჩიურმა.

ი. ებრალიძე.

გათამაშების ცხრილები

I ჯგუფის I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 13 ივნისისათვის

I ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალურგი“ (ზესტაფონი)	13	10	2	1	23—7	22
„სინათლე“ (თბილისი)	12	8	3	1	27 8	19
„განთიადი“ (ბორჯომი)	13	8	2	3	13—10	18
„მესხეთი“ (ახალციხე)	12	6	5	1	15—7	17
„ფეიქარი“ (წულუკიძე)	13	6	3	4	20—12	15
„ისანი“ (თბილისი)	13	4	3	6	9—10	11
„მაღაროელი“ (ჭიათურა)	13	3	4	6	8—12	10
„ოდიში“ (ზუგდიდი)	13	4	2	7	11—30	10
„ქართლი“ (გორი)	12	3	3	6	8—14	9
„ირისტონი“ (ცხინვალი)	11	3	3	5	7—11	9
„ტორპედო“ (გაგრა)	11	2	2	7	11—14	6
„დინამო“ I (თბილისი)	12	1	0	11	15—31	2

II ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოლმეურნე“ (წალენჯიხა)	13	7	3	3	17—12	17
„ბურია“ (ლანჩხუთი)	13	5	6	2	23—9	16
„მერცხალი“ (მახარაძე)	12	6	4	2	21—12	16
„კოლხეთი“ (ცხაკაია)	13	6	4	3	20—15	16
ახალ (თბილისი)	13	5	5	3	21—13	15
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	13	5	5	3	16—16	15
„ნარინჯი“ (ბათუმი)	13	3	8	2	13—11	14
ფიზკ ინსტ (თბილისი)	12	4	4	4	20—16	12
„შუქურა“ (ქობულეთი)	13	3	6	3	7—11	12
„მეშახტე“ (ტყვარჩელი)	13	3	3	7	11—17	9
„ბახმარო“ (ჩობატაური)	13	2	4	7	15—22	8
„დინამო“ (ქუთაისი)	12	0	1	11	8—36	1

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

● „მალაროელი“ (ჭიათურა) — „ტორპედო“ (გაგრა) 1:0. მსაჯი ა. ხარატიშვილი (თბილისი).

● „ქართლი“ (გორი) — „განთიადი“ (ბორჯომი) 1:1. მსაჯი ა. ჭკუასელი (თბილისი).

მასპინძლებს კარგა ხანს ეპყრათ ხელთ ინიციატივა, რაც 25-ე წუთზე ციხისელის მიერ გატანილი გოლით დამთავრდა. ბორჯომელებმა მარცხს ძლიერი კონტრშეტევით უპასუხეს და ოგანეზოვმა გაქვითა ანგარიში.

● „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ისანი“ (თბილისი) 2:1. მსაჯი ო. მურვანიძე (ბათუმი).

მატჩი ნაკლებ საინტერესო გამოდგა, ვინაიდან ხანგრძლივი წვიმის შედეგად სათამაშო მინდორი ატალახებული იყო. მაინც ზესტაფონელმა ფეხბურთელებმა მოწინააღმდეგეზე უკეთ ითამაშეს და გამარჯვებასაც მიაღწიეს.

● „მესხეთი“ (ახალციხე) — „დინამო“ I (თბილისი) 3:0. მსაჯი ო. ჯანგველაძე (თბილისი).

ახალგაზრდა დინამოელი ფეხბურთელები კარგა ხანს უწევდნენ წინააღმდეგობას მასპინძლებს, რომლებმაც მხოლოდ მე-40 წუთზე შეძლეს ანგარიშის გახსნა. შემდგომში „მესხეთმა“ კიდევ ორჯერ აიღო სტუმრების კარი და გამარჯვებულმა დატოვა მინდორი.

● „ოდიში“ (ზუგდიდი) — „ფეიქარი“ (წულუკიძე) 1:0. მსაჯი გ. პოლოხიანი (სოხუმი).

● „ბახმარო“ (ჩობატაური) — „დინამო“ (ქუთაისი) 4:1. მსაჯი ვ. შილაკაძე (თბილისი).

● ახკ (თბილისი) — „მეშახტე“ (ტყვარჩელი) 1:0. მსაჯი ა. ცაგარეიშვილი (თბილისი).

მატჩი მიმდინარეობდა უინტერესოდ, დაბალ ტემპში. შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც შორიდან გაიტანა არმიელმა ზუბეცმა.

● „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) 3:0. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

მიუხედავად იმისა, რომ ტაიმს შედეგი არ მუცია, იგი დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა. მეორე ნახევარში სამტრედიელებმა გაამლიერეს ივრიშები, — მათი თავდამსხმელები სულ მცირე შესაძლებლობასაც კი იყენებდნენ კარში დასარტყმელად. ანგარიში გახსნა პერტენავამ, ხოლო მცირე ხნის შემდეგ მანჯგალაძემ მეორე ბურთი გაგზავნა „კოლმეურნის“ კარში. ლიდერმა ვერაფერი გააწყო აქტიურად მოთამაშე ლოკომოტიველთა წინააღმდეგ და მესამე ბურთიც მიიღო.

● „კოლხეთი“ (ცხაკაია) — „ნარინჯი“ (ბათუმი) 1:1. მსაჯი გ. ვაჩარიძე (თბილისი).

ცხაკაიელი ფეხბურთელები მეტოქეზე უფრო ტექნიკურად მომზადებული გამოიყურებოდნენ, მაგრამ ისინი ზედმეტად აჩერებდნენ ბურთს, რაც ბათუმელებს საშუალებას აძლევდა მოეხდინათ საჭირო გადაადგილებანი დაცვაში. მართალია, ანგარიში „კოლხეთმა“ გახსნა, მაგრამ შესვენების შემდეგ ბათუმელთა თავდამსხმელმა ნოდიამ გამოიყენა მოწინააღმდეგე მცველისა და მეკარის შეცდომა და გაიტანა საპასუხო გოლი.

მეორე ქვეჯგუფი

პირველი ზონა

„დურუჯი“ (ყვარელი) — „კოლმეურნე“ (მარნეული) 4:1, „თრიალეთი“ (წალკა) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 1:1, „გარეჯი“ (საგარეჯო) — „არაგვი“ (დუშეთი) 3:2. ველისციხის „კახეთს“ დამარცხება ჩაეთვალა ახმეტის „ბახტრიონთან“ შეხვედრაში.

მეორე ზონა

„საირნე“ (მაიაკოვსკი) — „აერო“ (გალი) 2:2, „ლაიფერი“ (მახარაძე) „სამგურალი“ (წყალტუბო) 3:1, „ციხარტყელა“ (თბილისი) — „ზემო ქართლი“ (ხაშური) 2.0.

ბათუმის „ციხკარა“ აღდგენილია მიმდინარე შეჯიბრებაში და გაცდენილ თამაშებში მას დამარცხებები ჩაეთვალა. ბოლო ტურში „ციხკარა“ შეხვდა ჭიათურის „მშენებელს“ და დაამარცხა იგი — 3:1.



თბილისში, თანამედროვე ხუთჭიდელთა რესპუბლიკურ გუნდურ შეჯიბრებაში, კარგად გამოდის სპორტის ოსტატი ა. მაროტი.

* * *

სურათზე: ა. მაროტი ცხენოსნურ კროსში ასპარეზობისას.

ფოტო მ. ვაშაყმაძისა.

ᲥᲐᲠᲗᲚᲘ ᲙᲐᲖᲘᲜᲝ

● **რიგა, 14 ივნისი.** აქ დამთავრდა თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ პროფკავშირების ნაკრები გუნდები და უნგრეთის „ჩეპელი“. სტუმართა რიგებში იყვნენ 1965 წლის მსოფლიო ჩემპიონი იუნიორთა შორის ი. ბოდნარი და უნგრეთის II ნაკრების წევრი ბ. შარფალვი. პირად პირველობაში გაიმარჯვეს: ვაუებში — სპორტკლუბის ვ. გუნინმა, ხოლო იუნიორებში — გ. გუჟოვმა („ნეფტიანიკი“). გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს სპარტაკლმა ვაუებმა, ხოლო იუნიორებში ტოლი არ ყავდათ „ჩეპელის“ სპორტსმენებს. საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს უნგრელებმა.

● **ბუდაპეშტი, 14 ივნისი.** აქ მიმდინარეობს გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, სსრ კავშირისა და უნგრეთის (3) ახალგაზრდული გუნდების შეჯიბრება თანამედროვე ხუთჭიდში. ორი სახეობის შემდეგ დაწინაურდა უნგრელი მუშკოვსკი — 2182 ქულა. საბჭოთა სპორტსმენი პარამონოვი II ადგილზეა (2070 ქულა). გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდა უნგრეთის II ნაკრები. საბჭოთა ხუთჭიდელები III ადგილზე არიან.

● **ბრომლი, 14 ივნისი.** ბეკნემის კლუბის კორტებზე დამთავრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. გოგონების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა სპორტსმენები რ. ისლანოვა და ო. მორთზოვა. გაიმარჯვა მორთზოვამ — 7:5, 6:4 ქალთა ფინალი არ შედგა მ. ბუენოს (ბრაზილია) ავადმყოფობის გამო. გამარჯვება ავსტრალიელ კ. კრანტცეს მიენიჭა. III ადგილზე გავიდა გ. ბაკშევა. მან, ასე ვთქვათ, ნაცვლი გატეხა: საბჭოთა სპორტსმენი ქალი ამ კლუბის ჩემპიონატების ისტორიაში პირველად მოხვდა საპრიზო სამეულში. ვაჟთა ფინალში ავსტრალიელმა ჯ. ნიუკომბმა მოუგო ინდოელ პ. ლალს — 6:4, 15:13. ვაჟთა წყვილებში ავსტრალიელებმა ო. დავიდსონმა და ვ. ბოგრენმ მოუგეს ჰოლანდიელ ტ. ოკერსა და ავსტრალიელ რ. რაფელს — 6:4, 8:6. ა. მეტრეველი და ს. ლიხაჩოვი III ადგილზე გავიდნენ. ქალთა წყვილებში ავსტრალიელებმა მ. სმითმა და ჯ. ტედარტმა მოუგეს ვ. ბიორნერსა (კანადა) და ე. ეპანუელს (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) — 6:3 6:2. ბერეულ წყვილებში გ. ბაკშევა — ს. ლიხაჩოვის დუეტმა III-IV ადგილები გაიყოფეს.

ფოტოარქივი მოგვითხრობს



1965 წელი. ლონდონი. „უემბლის“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისისა და უნგრეთის ნაკრები გუნდები. მატჩი მოიგეს მასპინძლებმა — 1:0. აქ აღბეჭდილია სწორედ ის გოლი, რომელმაც ინგლისელებს გამარჯვება მოუტანა. ჯ. ისტჰემი (მარჯვნივ) ურტყამს მოწინააღმდეგის კარში. უნგრელთა სტოპერი კ. მესეი (მუქ მაისურში, მარჯვნივ) უძლური აღმოჩნდა შეეჩერებინა ბურთი — 1:0.

საერთაშორისო საფეხბურთო სამყარო ახლა მსოფლიო პირველობის ფინალური გათამაშების მოლოდინით ცხოვრობს. 11 ივლისს უცდის ყველა: ფინალისტები გაცხოველებით ემზადებიან, ბოლო საკონტროლო სპარინგ-მატჩებს ატარებენ, ხოლო ჟურნალ-გაზეთები და მომხილველები გულშემატკივრებს თავგზას უბნევენ ათასგვარი, ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო პროგნოზებით, აწუობენ მრავალნაირ კონკურსებს. ერთი სიტყვით, როგორც შეუძლიათ ამოკლებენ დროს ფინალის პირველ სასტვენამდე.

პროგნოზისტთა დიდი უმეტესობა გამოუოფს ორ უმთავრეს ფავორიტს, ჟიულ რიმეს თასის ორ ძირითად პრეტენდენტს — ბრაზილიასა და ინგლისს. ბევრნი მათ ფინალშიც ახვედრებენ ერთმანეთს. რასაკვირველია, ეს გამონაკლისი არაა, თუმცა უფრო მოსალოდნელია, რომ ისინი ნახევარფინალში შეხვდებიან ერთმანეთს...

რა თქმა უნდა, ეს სწორი წინასწარმეტყველებაა. ბრაზილია ყველაზე დებურად უძლიერეს გუნდად ითვლება მსოფლიოში (ეტაპ-გაკვეთილებზე ... ! ... ! ... !), ინგლისელები კი გათამაშების მასპინძლები არიან და ვინ ვინ, მათ კი იციან როგორ უნდა საკუთარ მინდორზე, „უემბლიზე“ თამაში.

ჩვენს სურათებზე, რომლებსაც ვთავაზობთ ფეხბურთის მოყვარულებს, ასახულია წარსულის მატჩების მომენტები ბრაზილიისა და ინგლისის გუნდების მონაწილეობით.

1962 წელი, ჩილი. აქ მოუხდათ ერთმანეთთან შეხვედრა ახლანდელ ფავორიტებს — ბრაზილიელებსა და ინგლისელებს. ეს იყო მეოთხედფინალური მატჩი, რომელიც ბრაზილიელებმა მოიგეს — 3:1. ჩემპიონის ცენტრფორვარდ ვავას (ცენტრში) თავით გააქვს ბურთი მეკარე სპრინჯეტის კარში. რ. ჩარლტონი და პეინსი შორიდან უყურებენ, თუ როგორ იღებს მათს კარს ბრაზილიელი.

6 : 1

ბოლონია, 15 ივნისი. აქ გაიმართა იტალიისა და ბულგარეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩი, რომელსაც 25 ათასი მაყურებელი დაესწრო. თამაში დამთავრდა იტალიელთა დიდი გამარჯვებით — 6:1 (2:0).

მასპინძელთაგან გოლების ავტორები არიან: მაცოლა (26-ე წუთი), პერანი (32-ე წუთი), რიცო (59-ე და 71-ე წუთები), ბარისონი (68-ე წუთი) და მერონი (83-ე წუთი).

საპასუხო ბურთი 53-ე წუთზე გაიტანა ბულგარელმა ასპარუხოვმა.

„სკუადრა აძურა“ ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ალბერტოზი, ბურგნიჩი, ფაკეტი, როზატო (გუარნერი), სალვადორე, ფოგლი, პერანი, ბულგარელი, მაცოლა (მერონი), რივერა (რიცო), პასკუტი (ბარისონი).

ბულგარელთა შემადგენლობა ასეთი იყო: სიმეონოვი (დეანოვი), შალამანოვი, ვუცოვი, გაგანელოვი, პენევი, ჭეჩევი, ქმკოვი (ვასილევი), აბაჯიევი, ასპარუხოვი, იაკიმოვი (კოტკოვი), კოლევი (კოსტოვი).

ემზადებიან...

ბუენოს-აირესი, 15 ივნისი. ურუგვაისა და მექსიკის ეროვნული გუნდების შემდეგ ევროპას გაემგზავრა არგენტინის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებიც, რომელსაც უფროსი მწვრთნელი ლორენცო შეთაურობს. ნაკრების წევრთა საშუალო ასაკია 25 წელი. ყველაზე უფროსი — ვარაკი — 34 წლისაა, უმცროსი მასი კი — 19-ისა. ნაკრების ვეტერანია მეკარე რომა, რომელმაც „უმაღლეს დონეზე“ 38 მატჩი ითამაშა. კითხვაზე — თუ ვინ მოიპოვებს ჟიულ რიმეს თასს, ფეხბურთელთა უმრავლესობამ ტურნირის მასპინძლები — ინგლისელები დაასახელა.

სანტ-იაგო, 15 ივნისი. ჩილის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ალამოსმა დაასახელა 22 ფეხბურთელი, რომლებთანაც ერთად მალე გაემგზავრება მსოფლიო ჩემპიონატზე. წინა ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორები ლაიპციგს გაჩერდებიან, სადაც 2 ივლისს შეხვდებიან გდრ-ის ფეხბურთელებს. აი, ვინ შევიდა ნაკრებში: მეკარეები — გოდოი, ოლივარესი, ასტორა; მცველები და ნახევარმცველები — ეისაგუირე, ვალენტინი, ფიგუეროა, დონოსო, ვილანუევა, ბერლი, კრუზი, ხოდგე; თავდამსხმელები — მარკოსი, პრიეტო, იავარი, ფელოქსი, არაია, ტობარი, ლანდა, ხ. რამირესი, ვალდესი, სანჩესი და ო. რამირესი.

ესპანელთა მარცხი

22 ფეხბურთელს მოუწყო გამოცდა ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა ხ. ვილალონგამ ჰოლანდიის ჩემპიონ „აიაქსთან“ მატჩში, რომელიც ამ დღეებში გაიმართა ლა-კორუნიაში. ანგარიში უკვე მე-5 წუთზე გაიხსნა, როცა ჰოლანდიელებმა საჯარიმო დარტყმიდან გაიტანეს ბურთი. შესვენების შემდეგ ვილალონგამ მინდორზე გამოიყვანა სხვა 11 ფეხბურთელი: ბეტანკური, სანჩისი, ელადიო, სილვესტრე, პირი, გალეგო, გლარია, ვილა, ადელარდო, ზალდია, ფუსტე, პეირო (პირველ ტაიმში თამაშობდნენ: ირიბარი, რივილია, ოლივეელია, ზოკო, რეიხა, დელ სოლი, სუარესი, რიფე, მარსელინო, ლაპეტრა, ჰენტო).

მაგრამ არც ახალმა ძალებმა უშველა ესპანელთა საქმეს. თამაშის განახლებისთანავე ჰრინსმა (ჰოლანდია) ორამდე გაზარდა ანგარიში. ესპანელებმა მხოლოდ 1 ბურთის გაქვითვა შეძლეს (ზალდია).

მწვრთნელის „რეაბილიტაცია“

იმავე დღეს, როცა პორტუგალიის პირველმა ეროვნულმა გუნდმა ანგარიშით 4:0 დაამარცხა ნორვეგიის ნაკრები, თამაშობდნენ ამ ქვეყნების მეორე გუნდებიც.

პორტუგალიელებმა, რომელთა რიგებში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ პირველად გამოდიოდა ცნობილი მეკარე პერეირა, აგრეთვე, ეროვნული ჩემპიონატის მეორე ბომბარდირი ფიგუეირედო, მარცხი განიცადეს ანგარიშით 2:3, თუმცა პირველი ტაიმის შემდეგ ისინი წინ იყვნენ (2:1).

ამ მატჩში მოხდა პორტუგალიელთა მწვრთნელის ო. გლორიას „რეაბილიტაცია“. საქმე ის არის, რომ მეორე ნაკრებში თამაშობდნენ ის ფეხბურთელები, რომელთა დაყენებას მას დაჟინებით ურჩევდნენ პირველ გუნდში. და აი, გლორიას დაწუნებულმა მოთამაშეებმა მართლაც ყერაფრით გამოიჩინეს თავი.

ფიფა-მ აუკრძალა

ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელები მასხიო და სივორი ერთხმად იყვნენ შეყვანილი ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების კანდიდატთა სიაში. ლონდონში მათი გამგზავრება სპორტული სიძლიერის მიხედვით ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ დაბრკოლებას ქმნიდა ის, რომ 1962 წელს ორივე ეს ფეხბურთელი იტალიის ნაკრებში ირიცხებოდა. სივორი ახლაც იტალიის „ნაპოლიში“ თამაშობს, ხოლო მასხიომ რამდენიმე იქაური კლუბი გამოიცვალა და სულ ახლახან დაბრუნდა არგენტინაში.

არგენტინელებმა თხოვნით მიმართეს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას ნება დაერთოთ მასხიოსა და სივორისთვის ეთამაშათ ნაკრებში. ფიფა-მ განცხადებას უარით უპასუხა იმ მოტივით, რომ ფეხბურთელებს არ შეუძლიათ ნაკრებში თამაში მსოფლიო პირველობაზე, თუ ისინი ადრე სხვა ქვეყნის ნაკრებში გამოსულან.



ინგლისელებს დიდი იმედი აქვთ თავიანთი მეკარე გორდონ ბენქსისა (იგი „ლეისტერ-სიტიში“ თამაშობს). სურათზე: გ. ბენქსი, ნახტომში.

ეს სურათიც ჩილის მსოფლიო ჩემპიონატის არქივიდანაა ამოღებული. ფინალი. თამაშობენ ბრაზილია და ჩეხოსლოვაკია. ბრაზილიელთა ნახევარმცველი ზიტო (№ 4, ნახტომში) შეტევის დასამთავრებლად ზუსტად გავიდა მეტოქის საჯარიმო მოედანზე და თავით გაგზავნა ბურთი კარში.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ოჯილისის
სპორტულ
ბაზაზე

ხელბურთი. სპორტის სასახლე. **16 ივნისი. ვაჟთა გუნდების საერთაშორისო შეხვედრა: ბულგარეთი (ნაკრები) — საქართველო (ნაკრები).** დასაწყისი 20 ს.

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭო იუწყება „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის, სსრ კავშირის ნაკრების წევრის ძიუ-დოსა და სამბოში, სპორტის ოსტატ

მიხეილ (ნოდარ) ვლადიმერის ძე ყაჩმაზაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია იუწყება სპორტის ოსტატ

მიხეილ (ნოდარ) ვლადიმერის ძე ყაჩმაზაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ქართული ჭიდაობისა და სამბოს რესპუბლიკური ფედერაცია იუწყება სახელგანთქმული მოჭიდავეების

ფარნაოზ ლუკას ძე ჩიკვილაძისა

და

მიხეილ ვლადიმერის ძე ყაჩმაზაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი — 16 ივნისს თბილისში, ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში, 12 საათზე. დაკრძალვა — 19 ივნისს, 17 საათზე, ახმეტის რაიონის სოფ. ჩაბინაანში.

პროფესიონალიზმი იუგოსლავიაში

იუგოსლავიის საფეხბურთო კავშირის სამმართველომ გადაწყვიტა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში პროფესიონალებად ჩარიცხოს თავისი ქვეყნის I და II ლიგების ფეხბურთელები. გაზეთი „პოლიტიკა“ აღნიშნავს, რომ ამიერიდან ეს ფეხბურთელები კონტრაქტს დადებენ კლუბებთან, რის შემდეგ დაკარგავენ მანამდე არსებულ გაურკვეველ „არამოყვარულის“ სტატუტს.

გაზეთი „სპორტი“ წერს: „ამ რეფორმის შემდეგ მოწესრიგდება მოთამაშეთა გუნდებზე მიმაგრების საქმე და აიკრძალება იუგოსლავიელ ფეხბურთელთა გადასვლა უცხოეთის კლუბებში თავიანთი მშობლიური კოლექტივის უნებართვოდ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენს ფეხბურთში დაწესდება პროფესიული ურთიერთობანი“.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 01609